ქალაქ ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N55 საცხოვრებელი სახლის
N25 ბინაზე, მოქალაქე როინ ციქუბაძისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა მოქალაქე როინ ციქუბაძის განცხადება /2011 წლის 17.01 N35/, რითაც ითხოვს ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N55 საცხოვრებელი სახლის N25 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, $65^2$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N55 საცხოვრებელი სახლის N25 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე როინ ციქუბაძეს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების საქალაქო სამსახურმა /ნ.ჩოგოვაძე/, ქალაქ ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N55 საცხოვრებელი სახლის N25 ბინაზე /საერთო ფართობი 49,52 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 29,67 კვ.მ, დამხმარე ფართობი 19,85 კვ.მ./, მოქალაქე როინ ციქუბაძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე დ.ანდღულაძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი — გ.თევდორაძე